ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1901 ხუთშაბათი, 10 მაისი № 1461

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის ადგილი იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“. ტელეფონი № 372.

საახალწლო სეირნობა
საქველ-მოქმედო ბაზრითურთ.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ მიერ განზრახული ახალწლო სეირნობა საქველ-მოქმედო ბაზრითურთ გაიმართება 20 ⁄ 21 მაისს. შემოწირულებათა მიღებისა ამ ბაზრისთვის შეიძლება კნ. ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძისასთან, ნიკოლოზის ქუჩა, № 21, და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში, სასახლის ქუჩაზე, თავად-აზნაურთა ქარვასლაში.

ტფილისის ვერძო

სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა,

დ ი ღ ი თ:

ვ. ი. ჯიჯინაძე — კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მიხეილ ს. გედევანიშვილი — ნერვებისა და ტვინის ელექტროხით — 9—10 ს.

ნ. ს. მულიხი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათამდე.

ი. ბ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ს. ნ. შატილოვი—თვალისა 11—12 ს.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე-ბავშვებისა 11—12 ს.

დ. ს. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი—12—1 საათამდე.

ვ. დ. მარკევიჩი—სადასტაქრო— 12½ ½ საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდე.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და სასქესო—1½—2 საათამდე.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ს. ს. ბელოგოლოვი.—შინაგანი (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი.—5—6 საათზე.

გ. მადალაშვილი—კვირაობით—10—12 ს.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კ.; ოპერაციები — მორიგებით. კრაოტი 4 მან. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი დარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი ბაგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ). ტელეფონი № 274. (წდ.)

მ კ უ რ ნ ა ლ ი

მიხეილ გედევანიშვილი

გადავიდა საკუთარ სახლში ყორღანოვის ქუჩა, № 16.

ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 6—7 ს. (10—6—1)

საჭიროა რკინის, წიფლის და მურყნის

შეშა

100-დან 400 საჟენამდის, შეიძლება მოიტანოთ სხვა და სხვა დროს მარიამობისთვიდან მარტამდის. მსურველმა მიჰმართოს „Новое Обозрѣніе“-ს რედაქციაში

ო. ო. (4—1)

გ ა მ ო ც დ ი ლ ი

მიწის-მზომელი

იღებს კერძო სამიწის-მზომელო სამუშაოებს. ადრესი მსურველთ შეუძლიანთ კითხონ „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში. (3—6.—3)

მთავრობის განკარგულებანი

სამხედრო უწყებას:

დონის ყაზახთა ჯარის უფროსის ადიუტანტს იასაულს თავ. პეტრე მელიქიშვილს ებოძა ამავე ჯარში საგანგებო მინდობილობათა უფროს შტაბ-ოფიცრის თანამდებობა.

სასულიერო უწყებას:

საქართველოს ეპარქიის ნორიოს წმ. გიორგის სახელობის ეკკლესიის მდვდელს სიმონ მანსვეტაშვილს 50 წლის სამსახურისთვის ებოძა წმ. ვლადიმერის მეოთხე ხარისხის ორდენი.

ახალი ამბავი

✦ კვირას, 20 მაისს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში გარდახდილ იქნება პანაშვიდი განსვენებულის ცნობილის მწერლის და მოღვაწის **ეგნატე ინგოროყვას** (ნინოშვილის) სულის მოსახსენებლად.

✦ ტფ. გუბერნიის **დროებით გაღდებულ გლეხებზე**, რომლებმაც მთავრობის შემწეობით გამოისყიდეს ნაველები, ამ ჟამად დიდ-ძალი ნედლიმკა შეგროვილა. ადმინისტრაციის გამოკვლევით, ამ გლეხებზეა 272,158 მან. ნედლიმკა, ესე იგი, ხუთჯერ მეტი, ვიდრე წლიური გადასახადია (49,780 მან). ამ გარემოებისთვის, „ნოვ. ობოზრ.“-ს სიტყვით, მთავრობას ყურადღება მიუქცევია და განზრახვა აქვს მოაწესრიგოს ნაველების გამოსასყიდ გადასახადის საქმე.

✦ პეტერბურგის გაზეთების სიტყვით, მომავალს აგვისტოში საერო განათლების სამინისტრო გაგზავნის რუსეთის სხვა და სხვა ადგილებში მცოდნე პირთ, რომელნიც ადგილობრივ სამოსწავლო უწყებასთან ერთად გამართავენ თათბირს **სწავლა-განათლების** საქმის მომავალ რეფორმების შესახებ.

✦ „ჩერნომ. ვესტნიკ“-ის სიტყვით, ქუთაისის **საგუბერნიო ადმინისტრაციას** არ **დაუმტკიცებია** ბათუმის საქალაქო საბჭოს მიერ გამგეობის წევრად არჩეული ი. ფ. მარკევიჩი, რადგანაც მას სხვა სახელმწიფო თანამდებობა აქვს, რომელსაც არ სტოვებს. რადგანაც ეს მეორე არჩევნები იყო და ვერ შესდგა, ამიტომ ეხლა გამგეობის წევრს თვით ადმინისტრაცია დანიშნავს.

✦ მთავრობას განზრახვა აქვს გააუმჯობესოს **ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა** მდგომარეობა. ამისათვის ამ მოხელეთ მიეცემათ სადგომების დასაქირავებლად ჯამაგირის 30%. თავდაპირველად ეს რეფორმა გავრცელებულ იქმნება პეტერბურგის, მოსკოვის და ვარშავის საფოსტო-სატელეგრაფო ოლქებზე.

✦ როგორც ამიერ კავკასიის რკინის გზის სადგურ ხარაგაულიდან გვატყობინებენ, იქ სათანადო მთავრობას გარდაუწყვეტია დააარსოს **სასოფლო ქსენონი** ერთის მკურნალითა და ფერშლით და ორის ბებია ქალით. შორაპნის მაზრაში ერთი უდიდესი საბოქაულოა ეს კუთხე, რომელიც მეტად გაჭირებულ მდგომარეობაში იყო და ყოველ საჭიროებაზე დ. ზესტაფონიდან უნდა მოეყვანათ ექიმი, რაც ხარჯის მეტს სარგებლობას ძნელად აძლევდა მცხოვრებთ ექიმის დროზედ მოუშველებლობისა გამო. როგორც გვწერენ, ამ ჟამად უკვე შეუდგენენ ზრუნვას ქსენონისათვის სადგომის გამოსაძებნად და ამა წლის 1 სექტემბრიდან უკვე გაიხსნება და დაიწყებს მოქმედებას ეს ხალხისათვის ფრიად საჭირო დაწესებულება.

✦ ხარაგაულიდანვე გვწერენ, რომ ახლო მომავალში, ადგილობრივ შეგნებულ პირთა მეცადინეობით, განხორციელდება აზრი იაფფასიან **სამკითხველო-ბიბლიოთეკის** დაარსების შესახებ. სათანადო დაწესებულებასთან ნების დასართველად შუამდგომლობა უკვე აღუძრავთ.

✦ გაზ. „კავკაზს“ სწერენ ახალციხიდან, რომ იქ ამ ბოლო ხანებში მეტად გავრცელებულა **ქუნორუშა**. ესევე სენი მოდებულია თურმე მაზრის ზოგიერთ სოფლებშიაც, და უბედურება ის არის თურმე, რომ მკურალთაგან გამოწერილი ზოგიერთი წამლები ადგილობრივ აფთექებში არ მოიპოვება.

✦ „კავკ“ პეტერბურგიდან ატყობინებენ, რომ პოლკოვნიკი **გაბაშვილი** დაინიშნა კავკასიის მსროლელთა პირველ ბატალიონის უფროსად.

✦ დათხოვნილ იქმნა სამსახურიდან, თავისავე თხოვნით, სოხუმის განყოფილების მომრიგებელი **შუამავალი** პოლკოვნიკი **სუშჩინსკი**.

✦ შინაგან საქმეთა სამინისტრო ადგენს ამ ჟამად ახალ წესებს, რომლის მიხედვით საქველმოქმედო საზოგადოებათ შეეძლებათ **ლატარია-ალეგრის** გამართვა. უმთავრესი მუხლი ახალის წესდებისა ის არის, რომ ამ საზოგადოებათ არ ექნებათ ნება კერძო პირთ მისცენ ნება ლატარია-ალეგრის გამართვისა.

✦ აპრილის თვის განმავლობაში ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე გამართულ **სანავთე** ბაქოებიდან ბათუმში ჩაუტანიათ 5.360,000 ფუთი წმინდა ნავთი.

✦ სოფ. გალიათიმიდან (კავკავის მაზ.) გვწერენ: „წარსულ კვირაში, ერთ დღეს, დილით, ამ სოფელში მცხოვრებმა ბასილა ძელეხოვმა ძროხები გარეკა საძოვრად მაღალ ფერდობზე. საბრალოს ნამიან გვერდზე ფეხი დაუსლტა, დაგორდა და ისე დაიჩეჩქვა, რომ მაშინვე გარდაიცვალა“.

✦ სოფ. ნებითი ქრისტიანიდან (კავკავის მაზრა) გვწერენ. „25 აპრილს ერთს ქორწილში, თამაშობის დროს, ეკაევი და ურიმაგოვი წაკინკლავდნენ და ურიმაგოვმა ეკაევს სილა გაარტყა. როგორ თუ შენ სილა გამარტყო, იყვირა ეკაევმა, იძრო ხანჯალი, მოუქნია ურიმაგოვს და მარცხენა მკლავი ჩამოაკაფა. ამას მოჰყვა ახლა გვარის ერთი-მეორის ძიძგელება და კეტების ტრიალი, მაგრამ გარეშე ხალხმა გააშველა ორი აღელვებული გვარი. როგორც ადგილობრივმა ფერშალმა შეამოწმა, ურიმაგოვს მკლავი დაუშავდებაო.

პროვინცია

ქ. თელავი. 30 აპრილს **დანიშნული** მორიგი **საბჭოს** სხდომა დაიწყო 9 საათზე. თავმჯდომარეობდა **თელავის** მამასახლისი თათუზოვი.

თავდა პირველად დადგინეს ნიხრი ხორცზე და გამომცხვარ პურზე. თავმჯდომარემ წაიკითხა აპრილის ნიხრი ხორცზე: ძროხისა 10 კ., ცხვრისა 11 კ., ხბოსი 12 კ., დორის 10 კ. და სუკი 12 კ., პურზე: I ხარ. 1 კ. 4 კ., II ხარ. 1 კირგ. შერეული II ხ. რუსეთის ფქვილისა 3½ კ. უამისოდ 3 კ. და ადგილობრივი ფქვილისაგან კამომცხვარი 2½ კ. კირვანქა. თავმჯდომარემ თავისი აზრი გამოსთქვა, დაეკითხა თითო კაპეიკი ძროხისა და ცხვრის ხორცზე. საბჭო უფასურად დასთანხმდა. დადგინეს მაისშიაც დარჩეს ისევ ის ნიხრი პურზე და ხორცზე, მხოლოდ თითო კაპეიკი დაკლდეს ძროხისას და ცხვრისას.

მერე თავმჯდომარემ წინადადება მისცა საბჭოს ამოერჩიათ საგანგებო დეპუტატები (торговый депутатъ), რადგანაც წინა სხდომაზე ამორჩეული ბ. გუბერნატორსა“ დუმტკიცებია, რადგანაც უწესოდ ეოფილა შემდგარი. ხმის უმეტესობით ამორჩეულ იქნენ დეპუტატებად. ვ. ეუდიჯანოვი და ს. ტერ-სარქისოვი. საბჭომ ამ სხდომაზე ბოდის განიხილა მეტად საეურადღებო საქმე სოფ. კურდღელაურის შესახებ. ეკალ შემდეგ დარჩენილ ჯარის კაცთა სახლის, შეშის და ნავთის ძველისაგან განთავისუფლებისა. უწინარეს თავმჯდომარემ წაიკითხა კურდღელაურელების თხოვნა თელავის მაზრის უფროსთან, სადაც, სხვათა შორის, ნათქვამია: ეს რამდენიმე წელიწადია, რაც სოფ. კურდღელაური იხდის ბეგრად სახლის დაქირავებით, შეშისა და ნავთის ძველით ყველ-შეთავების შემდეგ დარჩენილ ჯარის კაცთათვის მეხუთე კვეკსიის მსროლელთა ბატალიონისა. ის ადგილი-კი, სადაც აშენებულია მათთვის კაზარმები, ეკუთვნის ქ. თელავს და თელავისაგან არის მიცემული აგრეთვე წინედ თელავი იხდიდა ეველა ამ გარდასახადს, მაგრამ ეს რამდენიმე წელიწადია, რაც მათ დაუწვა ეს მძიმე ტვირთი და ძლიერად უნდოდათ მისი ზიდვა და სთხოვენ მაზრის უფროს შუამდგომლობას ბ. გუბერნატორის წინაშე ამ კარდასახადისაგან განთავისუფლებას; აგრეთვე წაიკითხა მაზრის უფროსის შუამდგომლობა და გუბერნატორის მოწერილობა ამ საქმეზე. თავმჯდომარემ აუხსნა საბჭოს, ვიდრე თელავში თვითმმართველობა არ იყო შემოღებული, თელავი იხდიდა ამ გარდასახადს, მერე—კი, როცა დაწესდა თვით-მმართველობა და ქალაქის საქმეები გადმოვიტანეს, პირველ წელიწადს ისევ ქალაქმა გარდიხადა, მეორე წელიწადს-კი, როდესაც კარგად გავიცანი ქალაქის საქმეები ვიშუამდგომლე ბ. გუბერნატორთან, რათა ამ გარდასახადისაგან გაეთავისუფლებინა თელავი, რომელიც შეწყნარებულიც იქმნა. ეხლა-კი ჩვენ არას დროს არ გადვიხდით, რადგანაც ის ადგილ, სადაც გაშენებულია, კაზარმები კურდღელაურის წრეშია მოუოლიდიო. საბჭომ დიდი ხნის თათბირის შემდეგ დადგინა უარი გამოეცხადოს კურდღელაურელებს ამ საქმეზე და აცნობოთ გუბერნატორს მოსსენებით.

რადგანაც დრო ადარ ჰქონდათ, დასარჩენი კითხვების განხილვა მეორე დღისთვის გადასდეს.

დიმიტრაშვილი.

დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

8 მაისი.

პეტერბურგი. 8 მაისს დიდი მთავარი ალექსი ალექსანდრეს ძის თანადასწრებით საზღვაო კადეტის კორპუსში საღვთისმეტყველო აქტი მოხდა.

ცარიცინი. ცარიცინის მაზრაში ანეულის ჯეჯილებს კარგი პირი აქვთ; მოე-

ლიან, რომ მოსავალი საშუალოზე კარგი მოვა.

ლოძი. ადგილობრივ ფაბრიკანტებს ნახევარ მილიონამდე ზარალი მოუვიდათ იმის გამო, რომ ბრესტში ბევრი შენობები დაიწვა. ფაბრიკანტებმა სხდომა მოახდინეს იმის თაობაზე, რომ ბრესტელ მუშტრებს ვექსილებით ფულის გადახდა დააცადონ, ხოლო საქონელი კი ისევ წინანდებურად ნისიად მისცენ.

გელსინგფორსი. რატგაუზის სასამართლომ 5 თებერვალს მომხდარი უწესოების თაობაზე ბრალდებულებს ასპას, სონკას, ანდეროინს, ბიოდს და მალმსტრემს ფულის ჯარიმის გადახდა მიუსაჯა 75-დან 115 მარკამდე, აგრეთვე დააკისრა სასამართლოს ხარჯების გადახდაც.

მიტავა. რამდენი დღესასწაულის შემდეგ, რომელთ დროსაც მართლ-მადიდებლების სარწმუნოებრივი გრძნობა საოცრად აღფრთოვანდა, დღეს იაკობ შტადტის ღვთის მშობლის სასწაულთ-მომქმედი ხატი გემით გაიგზავნა სპასო-პრეობრაჟენსკის უდაბნოში, რომელიც ქ-ნ. მანსუროვისამ დააარსა. ხატს აცილებდნენ ეპისკოპოსი, გუბერნატორი და დიდძალი მლოცველი.

ხარკოვი. ქალაქის გამგეობამ დაადგინა ნიკოლოოზის საავათმყოფოსთან აშენოს ეკლესია სახსოვრად იმისა, რომ ხელმწიფე იმპერატორი წარსულს წელს ავადმყოფობისაგან განიკურნა.

პრეტორია. გენერალმა ბლედმა კაროლინა დაიჭირა.

კაპშტადტი. კაპის ახალშენში შესულ ბურების მაშველ რაზმებში, ოფიციალურის ცნობით, 800 კაცი იქნება. შეპერსის რაზმი ჯერ კიდევ მთაში დგას ბაფრეიტენსა, სობერსეტსა და ისტ-ვარტს შუა; მას ძლიერ ავიწროებენ. ამ რაზმში, როგორც ისმის, 100 კაცამდე იქნებაო; ინგლისის ახალშენის ჯარის რაზმი შეტაკების დროს ჩასაფრებულ ბურებს ჩაუვარდა ხელში. ამას წინად მოსული ბურების რაზმის უფროსი დასჭრეს და ტყვედ წამოიყვანეს. ბურებს აპრილის განმავლობაში შემდეგი ზარალი მოუვიდათ: 105 კაცი მოუკლეს, 118 დაუჭრეს და 2193 ბური ტყვედაა წაყვანილი და თითონ დაჰმორჩილდა ინგლისელებს.

მიდლბურგი. კაპის ახალშენში, ზურის მთებში, დიდძალი ბური იყრის თავსა. ბევრი ახალი რაზმი გადის ორანჟეს მდინარეში და იმავე მთებისკენ მიემართება. ბურების უფროსი სუშე შეუერთდა მათ და ეხლა ზურის მთებში 1000—1500 კაცი იქნება. როგორც ისმის, თითონ დევეტი წინამძღვრობს ამ ბურებსაო, მაგრამ ეს ხმა ჯერ არა მტკიცდება.

მელბურნი. დღეს რუსეთის კრეისერი „გრომობოი“-ზე ნადიმი იყო გამართული; ნადიმზე დაესწრნენ გუბერნატორი, ავსტრალიის პირველი მინისტრი და 500-მდე სხვა კაცი.

მადრიდი. როგორც უკანასკნელი სიიდან სჩანს, ამორჩეულ იქმნენ 184 ლიბერალი, 70 კონსერვატორი, 1 როიალისტი, 6 კანალესის მომხრე, 14 რესპუბლიკელი, 8—ტეტუანის მომხრე, 14—ეროვნული უნიონისტი, 8—დამოუკიდებელი, 3—კარლისტი, 7—რომერის მომხრე და 1—მომხრე ესპანიის სამეფოს განუყოფლობისა.

9 მაისი

პეტერბურგი. 7 მაისს, სასადილოდ შესვენების შემდეგ, ობუხოვის ფოლადის ქარხანაში, დაბა ალექსანდროვსკში, შლისელბურგის გზაზე, ქარხნის სხვა და სხვა განყოფილების 200 მუშამ ხელი აიღო მუშაობაზე; ქარხნის უფროსის თანაშემწესთან პოდპოლკოვნიკ ივანოვთან მოლაპარაკების დროს მუშებმა სხვა და უსაფუძვლო მოთხოვნილება გამოუცხადეს. პოდპოლკოვნიკმა ივანოვმა ამაოდ ურჩია მუშებს წასულიყვნენ სამუშაოდ; მუშები მოედვნენ ქარხანას, მისცეს ნიშანი მუშაობის შეწყვეტისა და ძალით დაუწყეს მაშინებს გაჩერება; პოდპოლკოვნიკმა ივანოვმა, რომელსაც მხოლოდ 40 ჯარის კაცი ჰყვანდა ქარხანაში, შემწეობა სთხოვა პოლიციას. გამოიწვიეს ჟანდარმების 2 ესკადრონი, ცხენოსან პოლიციელთა რაზმი და 200 ქვეითა პოლიციელი. იმავე დროს ქარხნის ყველა მუშები, 3600 კაცამდე, ყვირილითა და სტვენით გამოვიდნენ ქუჩაში. ალაყაფის კარებთან მდგომს დარაჯს ერთმა მუშამ დანით რამდენიმე ჭრილობა მისცა; იქვე ერთმა მუშამ ქვა ესროლა სახეში ტ დასჭრა უბნის პოლიციელი ზედამხედველი (ოკოლოტოჩნი); მუშებმა შეაჩერეს ტრამვაის ვაგონების მოძრაობა. პოლიცმეისტერი პოლკოვნიკი პოლიბინი, რომელიც უფროსობდა პოლიციის რაზმს შეეცადა მუშების გაფანტვას ქუჩიდან, რადგანაც ეშინოდა საქმის გამწვავებისა. მან მოსთხოვა მუშებს, რომ დაშლილიყვნენ, მაგრამ ამაოდ; მაშინ ხალხს მიუტია ცხენოსანი რაზმი და ჟანდარმები; ხალხი მათ დაუხდა ქვის სროლით, და ცხენოსნები იძულებული შეიქმნენ ობუხოვის ქარხნისაკენ დაეხიათ. მაშინ პოლკოვნიკმა მოიშველია ობუხოვის ქარხანაში მდგომი წინადვე დამზადებული ქვეითა ჯარის რაზმი ამ რაზმს და პოლიციას მუშები კვლავ ქვის სროლით დაუხვდნენ. ამავე დროს მუშების მხრით რამდენჯერმე რევოლვერი დასცალეს, მაგრამ არავინ არ დაჭრილა; მაშინ პოლკოვნიკმა პალიბინმა განკარგულება მოახდინა სროლა დაეწყოთ და მიანდო ეს ქარხნის რაზმის უფროსს ბოცმანს. რაზმმა სამჯერ რასცალა თოფი. ერთი მუშა მოკლულ იქმნა და 8 დაიჭრა. ამის შემდეგ მუშები გაიფანტნენ. ამ დროს მოვიდნენ გამოწვეული ომსკის პოლკის როტები, რომელთა შემწეობით პოლკოვნიკი პალიბინი შეუდგა მახლობელ ეზოებიდან მუშების განდევნას, რომლებიც განუწყვეტლივ ისროდნენ ქვებს. დატუსაღებულია 100 კაცი. მუშებთან შეტაკების დროს პოლკოვნიკმა პალიბინმა მიიღო თავსა და ფეხში ჭრილობა. პოლიციელთაგან დაჭრილია 11 კაცი, მათგან 7 მძიმედ; დაჭრილია აგრეთვე უბნის პოლიციელი ზედამხედველი. ერთი დაჭრილი მუშათაგანი 8 მაისს გარდაიცვალა; დანარჩენები საავადმყოფოში დააბინავეს.

ხელმწიფე იმპერატორმა ბრესტ-ლიკოვსკის გადამწვართა დასახმარებლად კეთილინება და შესწირა 50,000 მანეთი.

ვენა. უნგრეთის დელეგაციის პრეზიდენტმა იმპერატორისადმი მიმართულ სიტყვაში აღნიშნა, რომ უკვე რამდენიმე წელიწადია სამთა სახელმწიფოთა კავშირი, რომელიც ასე შეეფერება ავსტრ-უნგრეთის ინტერესებს, შეადგენს საფუძველს იმპერიის გარეშე პოლიტიკისას; ავსტრ-უნგრეთის მეორე საფუძველს შეადგენს აღმოსავლეთში ეხლანდელ საქმეთა მდგომარეობის დაცვა. ეს გარემოება შეეფერება იმპერიის ინტერესებს და ამავე დროს უზრუნველ-ჰყოფს კეთილ განწყობილებას რუსეთთან, რაც თავდებია აღმოსავლეთ სახელმწიფოების აღყვავებისა.

მიდლბურგი. პოლკოვნიკი სკობელი 6 მაისს, ღამით, დაეცა ბურების უფროსის მალანის რაზმს და ყველა მარქაფა ცხენები წაართო; სულ 38 ცხენი დაიჭირეს ინგლისელებმა; ბევრი ბური იძულებული იყო უბელო ცხენზე შემჯდარიყო, რადგანაც მათ გაქცევის დროს უნაგირები დაჰყარეს. ამის შემდეგ ბურები წააწყდნენ იომანრების სადარაჯო რაზმს, რომელიც უკანიდან დაეცათ მათ და ექვსი კაცი მოუკლათ. ამ უკანასკნელ ორ დღეს მომხდარ ბრძოლებში გამოირკვა, რომ მალანის რაზმი სულ მთლად გაფანტულია. ის 80 კაცი, რომლებსაც ლაგეტანი უფროსობს, ყველანი კაპის ახალშენიდან არიან, გარდა სამი კაცისა.

ლონდონი. დეპუტატთა პალატა. ბროდრიკი აცხადებს, რომ ცნობა, ვითომც დარაჯმა მოჰკლა ერთი ტყვე ბური წმ. ელენეს კუნძულზე, სიცრუე არის. პალატა უბრუნდება ისევ საფინანსო კანონ-პროექტის განხილვას. სათანადო დაკითხვაზე კრანბორნი უპასუხებს, რომ ტიანძინში მყოფი ბრიტანელი კონსული იტყობინება, რომ 28 აპრილს ინგლისის გემი დაეჯახა გერმანელ დროებით ხიდს; გერმანელმა ჯარის კაცებმა თოფები ესროლეს გემს და დასჭრეს ორი ჩინელი. შემდეგ კი თვით მიეშველნენ გემს და გადმოსხეს ნაპირზედ ყველანი. ეს ამბავი მაშინვე აცნობეს გერმანელ გენერალს, რომელმაც მაშინვე ბოდიში მოიხადა და აღუთქვა ინგლისელთ, რომ შემდეგში ამგვარ შემთხვევას ადგილი აღარ ექმნება. შემდეგ კრანბორნმა გამოაცხა, რომ ინგლისმა არ უნდა მიიღოს მონაწილეობა სხვა სახელმწიფოებთან ერთად ჩინეთის სესხის უზრუნველ-ყოფაში, რადგანაც ინგლისის კრედიტი უფრო მაღლა სდგას, ვიდრე სხვა რომელიმე სახელმწიფოსი და გარდა ამისა ინგლისი სხვებზე ნაკლებ საზღაურსა თხოულობს. შემდეგ ორატორი შეეხო დამნაშავე ჩინეთის წარჩინებულთა დასჯის საქმეს და სთქვა, რომ შედარებით დასჯილთა რიცხვი ნაკლები იყო; ამ პირთა დასჯა ყველა სახელმწიფომ მოითხოვა, გარდა რუსეთისა. ჩინეთის საქმეები ეხლა უფრო მშვიდობიანათ მიმდინარეობენ, ასე რომ ახლო მომავალში უნდა მოველოდეთ ინგლისელთა ჯარების იქიდან გამოყვანას. ზედა პალატაში ლანდსდოუნმა გამოაცხადა, რომ სახელმწიფოთა სრულს ყურადღებას იპყრობს ოსმალეთთან უთანხმოება საფოსტო დაწესებულებათა შესახებ. ბრიტანიის მთავრობას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი შესაფერი დაკმაყოფილება მოითხოვოს ოსმალეთისაგან და ფორმალურად მოვალე გახადოს ოსმალეთი, რომ შემდეგში ამისთანა ამბავი აღარ მოხდეს. ინგლისი არ დაკმაყოფილდება, ვიდრე მასაც ისეთივე საფოსტო შეღავათი და მდგომარეობა არ მიეცემა, როგორებიც სხვა სახელმწიფოებს აქვთ მიცემული. შეეხო რა ჩინეთის საქმეებს, ლანსდოუნმა პალატის ყურადღება მიაქცია ინგლისის წინადადების უპირატესობას, რომლით ჩინეთმა ყოველ სახელმწიფოს უნდა გადასცეს ობლიგაციები საზღაურის რაოდენობის მიხედვით და შემდეგ თან და თან იხადოს თავნით და სარგებელიც; ამისთვის უნდა დაინიშნოს ზოგიერთი სახელმწიფო შემოსავალი. თუ ჩინეთს არ მოსთხოვენ პირველ წლებში საზღაურის გარდახდას, მისი მდგომარეობა შესამჩნევად გაუმჯობესდება. ორატორი დარწმუნებულია, რომ ინგლისის წინადადების მიღება ხელს შეუწყობს ევროპიელ ჯარების გამოყვანას ჩინეთიდან.

პალატამ შესწყვიტა სხდომები 27 მაისამდე.

სამხრეთ აფრიკის საქმეთა კომისიის წინაშე ჰოლანდიელ მომჩივანთა წარმომადგენელმა გამოაცხადა, რომ დღეს ვერ წარუდგენს კომისიას დაპირებულს ცნობას იმის შესახებ, თუ რამდენს ზარალს თხოულობენ სამხრეთ-აფრიკიდან გაძევებული ჰოლანდიელები, რადგანაც თვით მომჩივანებმა ვერ შეიძლეს მოსვლა და ჩვენების მიცემა. ამგვარ განცხადების შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ იმედი გამოსთქვა, რომ სული წმინდის მოფენის დღესასწაულის შემდეგ მოწმები ჩვენებას მოგვცემენო და საქმე ადვილად გადაწყდებაო.

იოკაჰამა. ნურიე აგვიანებს სამინისტროს შედგენას, რადგანაც წარჩინებულთა პალატაში უმრავლესობა მისი მომხრე არ არის.

ბერლინი. პეკინიდან იტყობინებიან, რომ 6 მაისს, „დიდი მუშტის“ ბრბო, რომელიც უკუ აქცია გენერალ ლიუს ჩინელმა ჯარმა, შეეხეჩა მე-3 გერმანელ პოლკის ორ რაზმს; მოკლულია 100 მეტი ჩინელი.

პარიზი. დეპუტატთა პალატის ბიურომ საბიუჯეტო კომისია აარჩია. ამორჩეულთა შორის არიან რუვიე, ლოკროა, კოშერი, გილიენი და ტრელლოტ. კომისიას უნდა ესაბა სამინისტროს პარტიას ეკუთვნის. კომისიის ყველა წევრებს ესურთ, რომ ბიუჯეტის შესახებ კენჭის ყრა 1901 წლის დასრულებამდე მოხდეს. ეჭვია, რომ საკითხის შესახებ შემოსავლზე გადასახადისა აღძრული იქმნას. სამინისტროს მომხრეები იმ აზრისა არიან, რომ ეს საკითხი ცალკე უნდა იყოს განხილული და არა ერთად ბიუჯეტთან.

ვარშავა. გროეცკის მაზრაში, სოფ. ჩერსკში, ვარშავის საიდუმლო პოლიციამ ყალბი მანეთიანების და ათ-მაურიანების ფაბრიკა ამღმოაჩინა. ყალბი ფულის ჩამოსასხმელი იარაღები იპოვეს. დამნაშავე ფრანგ ბოჩკოფსკი დაატუსაღეს; მან აღიარა თავისი დანაშაული.

ბერლინი. გრაფ ვალდერზეე იტყობინება პეკინიდან, რომ „დიდი მუშტის“ მოძრაობა პაოტინფუს სამხრეთით, როგორც ეტყობა, სწრაფად მოსპობილ იქმნა გენერალ ბალიუს მოქმედების მიერაო. კალგანში აფეთქების დროს 200 ჩინელი დაშავდაო. ჩვენ დაჭრილებს ისევ უკანა ჰგზავნიანო. „დიდი მუშტის“ მოძრაობას საღვარზე, ლიუს მოხსენებით, ჩინელი ჯარები ჰსპობენ.

ვენა. დღეს დელეგაციების მიღების დროს იმპერატორმა უპასუხა პრეზიდენტს და სთქვა, რომ გულწრფელის სიამოვნებით მოისმინა პრეზიდენტის მიერ გამოთქმული ერთგულების გრძნობანი და მადლობას უხდის მათ. „დელეგაციების უკანასკნელ სესსის დროიდან,—განაგრძო იმპერატორმა, — ჩემი მეგობრების — იტალიის მეფისა და ინგლისის დედოფლის გარდაცვალებამ ღრმა მწუხარება მაგრძნობინა. ეხლაც სიამოვნებით შემიძლიან ვსთქვა, რომ ჩვენ მეგობრული ურთიერთობა გვაქვს ყველა სახელმწიფოებთან. ეს სასიამოვნო პოლიტიკური მდგომარეობა საბუთს გვაძლევს იმედი ვიქონიოთ, რომ ზავი შენარჩუნდეგშიაც დაცულ იქნება. ჩინეთში შაბშან გაზაფხულზე შფოთი და არეულობა მოხდა: საჭირო იყო, რომ სახელმწიფოებს საერთოდ ღონისძიება მიეღოთ თავიანთ წარმომადგენლების და ქვეშევრდომების დასაცველად და აგრეთვე ჩინეთში წესიერების აღსადგენად. ჩვენი მონაწილეობა საერთო მოქმედებაში გამართულ იყო ჩვენი ინტერესებით ჩინეთში. სამხედრო უწყება, როგორც სჩანს წარმოდგენილ პროექტიდან, მომავალ წლისათვის თხოულობს მხოლოდ უსაფრთხოესს ხარჯების დაფარვას. ბოსნია ჰერცოგოვინა წინანდელსავით თავისი შემოსავლით ჰფარავს ადმინისტრაციის ხარჯებს. მრწამს თქვენი პატრიოტული წინდახედულობა, რომლით თქვენ შეუდექით მოვალეობის ასრულებას. ვუსურვებ თქვენს საქმეს კეთილად დაბოლოვებას და გულწრფელს სალამს გიძღვნით.“

პეტერბურგი. 8 მაისი. ბირჟა ტფილისის საადგ. მამულო ბანკის 5% გირავ. ფურცლ. —92,7 გაყიდული; იმავე ბანკის 4½% ფურცლები, ქუთაისის საადგილმამულო ბანკის ფურცლები და მანთაშევის სავაჭრო საზოგადოების აქციები ბირჟაზე არ ყოფილა.

პეტერბურგის ბირჟა 8 მაისს.

ფასი 3 თვით:	
4% სახელმწიფო რენტა. . . .	96 1/8 გაყიდ.
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	100 5/8 „
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამ. ბანკისა.	95 გამყიდ.
5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	365 გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. . . .	295 „
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	218 1/4 გაყიდ.
3½% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა	88 3/4 მყიდვ.
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	— —
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	— —
ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ	— —
4½% გირავნობ: ფურც. იმავე ბანკისა	— —
ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის. 6% გირ. ფურცლ	— —
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	— —

რედაქტორი ალ. ჯუღანია. გამომცემელი ალ. ჯაბადარი

Дозволено цензурою. Тифлисъ, 9 Мая, 1901 г. სტამბა ქართ ამხ—ბისა, ვანქის დიდი ქუჩა, № 27